სსიპ ბათუმის შოთა რუსთაველის
სახელმწიფო უნივერსიტეტი

26 სექტემბერი, 2024

ბრძანება №01-02/168

,,უცხოეთში გასამართ სამეცნიერო ღონისძიებებში მონაწილეობისათვის ბსუ-ს ბიუჯეტიდან დაფინანსების მიმღები (2024 წლის მეოთხე ეტაპზე) ბსუ-ს აკადემიური და სამეცნიერო პერსონალის გამოვლენისათვის კონკურსის გამოცხადების შესახებ'' ბსუ-ს რექტორის მოვალეობის შემსრულებლის 2024 წლის 02 სექტემბრის N 01-02/152 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ

,,უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 22–ე მუხლის, ბსუ-ს წესდების მე-13 მუხლის, ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2022 წლის 20 აპრილის №07-01/21 გადაწყვეტილებით დამტკიცებული „ბსუ-ს პერსონალის პროფესიული განვითარების დაფინანსებისა და სტატიის გამოქვეყნებისათვის წახალისების წესის", ,,ბსუ-ს 2024 წლის ბიუჯეტის დამტკიცების თაობაზე" წარმომადგენლობითი საბჭოს 2023 წლის 7 დეკემბრის №07-01/61 გადაწყვეტილების, ,,ბსუ-ს 2024 წლის ბიუჯეტში ცვლილების შეტანის შესახებ'' ადმინისტრაციის ხელმძღვანელის 2024 წლის 23 სექტემბრის 01-10/84 ბრძანების, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანის 2024 წლის 19 სექტემბრის №1166782 სამსახურებრივი ბარათის საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. შევიდეს ცვლილება ,,უცხოეთში გასამართ სამეცნიერო ღონისძიებებში მონაწილეობისათვის ბსუ-ს ბიუჯეტიდან დაფინანსების მიმღები (2024 წლის მეოთხე ეტაპზე) ბსუ-ს აკადემიური და სამეცნიერო პერსონალის გამოვლენისათვის კონკურსის გამოცხადების შესახებ'' ბსუ-ს რექტორის მოვალეობის შემსრულებლის 2024 წლის 02 სექტემბრის N 01-02/152 ბრძანებაში, კერძოდ:
   ა) ბრძანების 3.1 პუნქტის ,,ზ'' ქვეპუნქტი შეიცვალოს და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:
   ,,ზ) ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის აკადემიური პერსონალისათვის - 10 000 ლარი;''.
   ბ) ბრძანების N2 დანართში, 2.1 პუნქტის ,,ზ'' ქვეპუნქტი შეიცვალოს და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:
   ,,ზ) ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის აკადემიური პერსონალისათვის - 10 000 ლარი;''.
2. ბრძანება გამოქვეყნდეს ბსუ-ს ვებგვერდზე (ველში ,,იურიდიული ცნობარი" (,,რექტორის აქტები").
3. ბრძანება დაეგზავნოს მართვის ორგანოებს, რექტორის მოადგილეებს, ჰუმანიტარულე მეცნიერებათა ფაკულტეტებს, იურიდიულ დეპარტამენტს, საფინანსო-ეკონომიკურ დეპარტამენტს, საქმისწარმოების სამსახურს (კანცელარია), საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს და საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს.
4. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.
5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილი წესით და ვადაში, ბათუმის საქალაქო სასამართლოში (ქ. ბათუმი, სტეფანე ზუბალაშვილის №30).

რექტორის მოვალეობის შემსრულებელი,
პროფესორი — მერაბ ხალვაში